

ძალაშია ხელმოწერის დღიდან

შეთანხმება

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და უზბეკეთის რესპუბლიკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის სამინისტროს შორის თანამშრომლობის თაობაზე

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და უზბეკეთის რესპუბლიკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის სამინისტრო, შემდგომში “მხარეებად” წოდებულნი,

ეყრდნობიან რა ორმხრივ დაინტერესებას, განავითარონ თანამშრომლობა სტატისტიკის დარგში, გააფართოვონ ყოველმხრივი ინფორმაციის გაცვლა და განამტკიცონ ორივე სახელმწიფოს სტატისტიკურ ორგანოთა ურთიერთქმედება,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები თანამშრომლობენ შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- სტატისტიკური დაკვირვებების, აღწერებისა და გამოკვლევების ჩატარების სისტემათა შექმნის მეთოდური მასალების გაცვლა;

- მხარეთა მიერ დათქმულ თემებზე ღია სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლა;

- ოფიციალური სტატისტიკური გამოცემების (ყოველწლიური გამოცემების, კრებულების, ბიულეტენების, სახელმწიფოთა და ცალკეულ რეგიონთა სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ცნობებისა და მიმოხილვების) გაცვლა;

- ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორის აღრიცხვის სრულყოფის, ეროვნული ანგარიშების სისტემის დანერგვის საკითხებზე გამოცდილების გაზიარება;

- კომპიუტერული ქსელების გამოყენების, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებში გამოცდილების გაზიარება;

- სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების საქმიანობის უახლესი მიმდინარეობებისა და მოწინავე გამოცდილების შესწავლის მიზნით ერთობლივი თათბირების, სემინარებისა და კონფერენციების მოწყობა;

- ხელშეკრულების საფუძველზე ერთობლივი მეცნიერული გამოკვლევების ჩატარება, აღრიცხვისა და სტატისტიკის საკითხებზე ერთობლივი ტექნიკური პროექტების მომზადება;

- საერთაშორისო სტატისტიკურ ორგანიზაციებსა და მათი ხაზით ჩასატარებელ ღონისძიებებში მონაწილეობის თაობაზე ერთმანეთის კონსულტაცია.

მუხლი 2

სტატისტიკის დარგში თანამშრომლობის საერთაშორისო პროექტების მომზადებისას მხარეები წაახალისებენ ერთი მხარის მიერ მეორე მხარის გენდერის მონაწილედ მიწვევას.

მუხლი 3

მხარეები ხელს უწყობენ თავიანთ საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის სამეურნეო ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას.

მუხლი 4

მხარეები ერთმანეთს უთანხმებენ ორმხრივი თანამშრომლობის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებს. თანამშრომლობის დაფინანსების პრობლემის გადაჭრის მიზნით მხარეებს შეუძლიათ მიმართონ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებთანაც მათ აქვთ თანამშრომლობა.

მუხლი 5

საქმიანობის კოორდინირების მიზნით მხარეები პარიტეტულ საწყისებზე შექმნიან თავიანთი სრულუფლებიანი წარმომადგენლებისაგან შემდგარ ორმხრივ სამუშაო კომისიას.

მუხლი 6

შეთანხმების შესრულების პროცესში წამოჭრილ პრობლემებს მხარეები განიხილავენ ერთობლივად და მიიღებენ მათ გადასაჭრელ ზომებს. წინამდებარე შეთანხმებისა და მის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობა საჭიროების შემთხვევაში განხილულ იქნება ოფიციალური დელეგაციების დონეზე.

მუხლი 7

წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია არ შეიძლება გადაეცეს მესამე მხარეს იმ მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელმაც წარმოადგინა ინფორმაცია.

თანამშრომლობის შედეგად მიღებული ინფორმაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რომელიმე მხარის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

მუხლი 8

ყველა სადაო საკითხს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ შეთანხმების დებულებების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, მხარეები გადაწყვეტენ ორმხრივი მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების გზით.

მუხლი 9

ამ შეთანხმებაში მხარეთა თანხმობით შეიძლება შეგანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ფორმდება ოქმებით, რომლებიც ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მუხლი 10

ამ შეთანხმების დებულებები არ ეხება მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობენ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, რომელთა წევრებიც ისინი არიან.

მუხლი 11

შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სამი წლის განმავლობაში. შეთანხმება ავტომატურად გრძელდება შემდგომი სამწლიანი პერიოდებით იმ დრომდე, სანამ რომელიმე მხარე შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე წერილობით არ განუცხადებს მეორე მხარეს თავის სურვილს, შეწყვიტოს მის მოქმედება.

წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტა არ მოახდენს გავლენას იმ პროგრამებსა და პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც უკვე დაიწყო, აგრეთვე არ შეეხება იმ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც დადებულ იქნება მის საფუძველზე.

შესრულებულია ქ. გაშკენგში, 2000 წლის 3 თებერვალს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ, უზბეკურ და რუსულ ენაზე, ამასთან, ყველა გექსგს თანაბარი ძალა აქვს.

შეთანხმების დებულებათა განმარტებისას უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში გამოიყენება გექსგი რუსულ ენაზე.

საქართველოს სტატისტიკის
სახელმწიფო დეპარტამენტის
სახელით

უზბეკეთის რესპუბლიკის
მაკროეკონომიკისა და
სტატისტიკის სამინისტროს
სახელით